თუშეთის რეკრეაციული რესურსები. ტურისტული მარშრუტი „ თუშეთი საქართველოს მთიანეთის მშვენება“: დახასიათება, მარკეტინგი და მენეჯმენტი

გიორგი მაღლაკელიძე

ელ.ფოსტა: giorgi.maghlakelidze@tsu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძის #3

საქართველოს და მისი რეგიონების ბუნებრივი-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების, რეკრეაციული რესურსების გონივრული გამოყენების და ტურიზმის განვითარების მიზნით, შევისწავლეთ საქართველოს ულამაზესი მთიანი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი - თუშეთი. კერძოდ, შევისწავლეთ რეგიონის ბუნების და მატერიალური კულტურის ძეგლები, დავახასიათეთ თუშეთი გეოგრაფიულდ, ისტორიულ-გეოგრაფიულად, განვიხილეთ მისი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მარკეტინგის და მენეჯმენტის საკითხები. ყოველივე ამის გათვალისწინებით შევადგინეთ ტურისტული მარშრუტი: „თუშეთი საქართველოს მთიანეთის მშვენება“ .